

შპს „გეოლოგიური კვლევის ცენტრი“

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	კომ.	31.12.23	31.12.22
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	89 816,95	307 454,63
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	19 394 782,61	15 875 640,01
სასაქონლო მარაგები		1 085,63	3 284,73
		19 485 685,19	16 186 379,37
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები	5	309 566,20	320 052,88
სხვა ინვესტიციები	6	12 289 974,73	11 356 885,66
		12 599 540,93	11 676 938,54
		32 085 226,12	27 863 317,91
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	82 414,97	31 877,08
		82 414,97	31 877,08
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	8	46 166 004,31	37 604 679,16
		46 166 004,31	37 604 679,16
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(14 163 193,16)	(9 773 238,33)
		(14 163 193,16)	(9 773 238,33)
		32 085 226,12	27 863 317,91

დირექტორი

ბ. თევდორაძე



სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	2023	2022
საქონლის გაყიდვიდან	10 090,80	233 980,00
მომსახურების გაწევიდან	1 945 590,40	839 764,00
	1 955 681,20	1 073 744,00
გაყიდვების თვითღირებულება	(1 768 718,53)	(763 422,00)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	3 151,00
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1 309 870,81)	(731 521,00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(70 432,01)	(76 960,00)
საპროცენტო შემოსავალი	703 679,25	774 173,00
საპროცენტო ხარჯი	(2 630 774,02)	(2 506 941,00)
იჯარის ხარჯი	(112 852,97)	(111 952,00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(827 450,57)	(155 130,00)
	(6 016 419,66)	(3 568 602,00)
საოპერაციო მოგება	(4 060 738,46)	(2 494 858,00)
წმინდა მოგება / (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	(329 216,37)	1 529 943,00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(4 389 954,83)	(964 915,00)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(9 773 238,00)	(8 808 323,00)
კაპიტალის გაზრდა	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(14 163 192,83)	(9 773 238,00)

დირექტორი

ბ. თევდორაძე



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “გეოლოგიური კვლევის ცენტრი” რეგისტრირებულია 2014 წლის 19 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის 14, ბინა 21. მისი ძირითადი საქმიანობაა გეოლოგიური კვლევა მიემა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან/და მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|----------------------------|-------------|
| • ოფისის აღჭურვილობა | 20 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 20 პროცენტი |
| • ავეჯი და ინვენტარი | 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები | 20 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.23	31.12.22
ფული ბანკში	89 816,95	307 454,63
	89 816,95	307 454,63

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.23	31.12.22
დებიტორული მოთხოვნები	19 249 141,32	15 851 143,04
საჭვო მოთხოვნები	11 573,88	11 573,88
სესხები და მისაღები პროცენტები	95 162,09	-
საგადასახადო აქტივი	-	12 539,21
გადახდილი ავანსები	38 905,32	383,88
	19 394 782,61	15 875 640,01

5. წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები

	31.12.22	წმინდა მიღება/(გასვლა)	ცვლილება	31.12.23
ისტორიული ღირებულება				
საველე აღჭურვილობა	305 091,08	-	-	305 091,08
ოფისის აღჭურვილობა	77 943,44	49 669,90	-	127 613,34
საოფისე ავეჯი	10 377,97	677,97	-	11 055,94
ოფისის ინვენტარი	5 067,95	-	-	5 067,95
სატრანსპორტო საშუალებები	140 206,63	9 597,46	-	149 804,09
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	3 635,20	-	-	3 635,20
არამატერიალური აქტივები	98 411,45	-	-	98 411,45
	640 733,72	59 945,33	-	700 679,05
აკუმულირებული ცვლილება				
საველე აღჭურვილობა	(62 965,18)	-	(48 425,19)	(111 390,37)
ოფისის აღჭურვილობა	(60 800,31)	-	(10 188,27)	(70 988,58)
საოფისე ავეჯი	(8 344,75)	-	(508,60)	(8 853,35)
ოფისის ინვენტარი	(4 107,45)	-	(192,10)	(4 299,55)
სატრანსპორტო საშუალებები	(115 213,69)	-	(6 198,27)	(121 411,96)
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	-	-	(545,28)	(545,28)
არამატერიალური აქტივები	(69 249,46)	-	(4 374,30)	(73 623,76)
	(320 680,84)	-	(70 432,01)	(391 112,85)
საბალანსო ღირებულება				
საველე აღჭურვილობა	242 125,90	-	(48 425,19)	193 700,71
ოფისის აღჭურვილობა	17 143,13	49 669,90	(10 188,27)	56 624,76
საოფისე ავეჯი	2 033,22	677,97	(508,60)	2 202,59
ოფისის ინვენტარი	960,50	-	(192,10)	768,40
სატრანსპორტო საშუალებები	24 992,94	9 597,46	(6 198,27)	28 392,13
საიჯარო ქონების კეთილმოწყობა	3 635,20	-	(545,28)	3 089,92
არამატერიალური აქტივები	29 161,99	-	(4 374,30)	24 787,69

320 052,88	59 945,33	(70 432,01)	309 566,20
------------	-----------	-------------	------------

6. გაცემული სესხები

სესხები მოიცავს უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს. გაცემულ სესხებზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, მარტივი პროცენტის პრინციპით.

	31.12.23	31.12.22
სესხები და მისაღები პროცენტები	12 289 003,42	11 355 662,31
მონაწილეობა სხვა კომპანიებში	971,31	1 223,35
	12 289 974,73	11 356 885,66

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.23	31.12.22
სავაჭრო კრედიტორები	70 163,64	31 877,08
საგადასახადო ვალდებულებები	8 256,48	-
ვალდებულებები პერსონალისადმი	3 994,85	-
	82 414,97	31 877,08

8. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან სესხს, რომელიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში. პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, მარტივი პროცენტის პრინციპით.

	31.12.23	31.12.22
მიღებული სესხები	29 810 896,35	24 179 913,19
გადასხდელი პროცენტები	16 355 107,96	13 424 765,97
	46 166 004,31	37 604 679,16